საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2011 წლის 29 ივნისის

დადგენილება №493

2011-2012 სასწავლო წელს საფაკულტეტო
სასწავლო კურსების შემოღების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2011–2012 სასწავლო წელს სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების სწავლების პირველის წლის პირველ სემესტრში სასწავლო გეგმებს, ფაკულტატიურ საგნად დაემატოს 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ზოგადი ფიზიკის შესავალი“, რომელსაც წაიყვანს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ფიზიკის აკადემიური დეპარტამენტი.
2. 2011–2012 სასწავლო წელს სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში სასწავლო გეგმებს, ფაკულტატიურ საგნად დაემატოს 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ზოგადი ფიზიკის სპეცკურსი“, რომელსაც წაიყვანს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ფიზიკის აკადემიური დეპარტამენტი.
3. 2011–2012 სასწავლო წელს სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების სწავლების მე–2 წლის მეორე სემესტრში სასწავლო გეგმებს, ფაკულტატიურ საგნად დაემატოს 4 კრედიტიანი სასწავლო კურსი „ მათემატიკა (MATLAB-ი) “ რომელსაც წაიყვანს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის აკადემიური დეპარტამენტი.
4. დაევალოს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიტანოს სათანადო ცვლილება პუნქტ 1 -ში, 2-ში და 3-ში ჩამოთვლილი ფაკულტეტების სასწავლო გეგმებში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე